



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
გენერალური აუდიტორის ბრძანება



№ 006031/21

04/03/2025

**„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2025 წლის აუდიტორული საქმიანობის
წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2024 წლის
31 დეკემბრის № 007865/21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2025 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2024 წლის 31 დეკემბრის № 007865/21 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2025 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2025 წლის 4 მარტის №006026/30 ოქმი.

ცოტნე ყავლაშვილი
გენერალური აუდიტორი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2025

აუდიტორული საქმიანობის
2025 წლის გეგმა

სარჩევი

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა.....	3
1. შეჯამება.....	3
2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი.....	4
ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა.....	5
1. ფინანსური აუდიტები	5
2. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები.....	6
3. შესაბამისობის თემატური აუდიტები.....	7
4. ეფექტიანობის აუდიტები.....	11

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

1. შეჯამება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, 2025 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმა განსაზღვრა **46 აუდიტით**, რითაც იგეგმება **ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 96%-ის დაფარვა**.

გეგმის მაჩვენებლები	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
აუდიტების რაოდენობა	58	46
დაფარვის მაჩვენებელი (მლნ ლარი)	23,369	28,805
დაფარვის მაჩვენებელი (%)	91%	96%

აუდიტების განაწილება აუდიტების სახეობების მიხედვით:

რაოდენობა აუდიტის სახეობების მიხედვით	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
ფინანსური აუდიტი	13	5
შესაბამისობის აუდიტი	29	30
ეფექტიანობის აუდიტი	16	11

2024 წელთან შედარებით მცირდება ფინანსური აუდიტების რაოდენობა, თუმცა იზრდება თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2025 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური იწყებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებას, ნაცვლად ინდივიდუალური სამინისტროების ფინანსური აუდიტებისა. შედეგად, მნიშვნელოვნად იზრდება ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი და ამასთანავე, სრულად კმაყოფილდება საერთაშორისო სტანდარტებითა და შეფასებებით (მაგალითად, როგორებიცაა, SAI-PMF,¹ IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება, PEFA) განსაზღვრული მოთხოვნა.

გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის ექსპერტების მიერ SAI-PMF-ის შეფასების მიხედვით მიღებული რეკომენდაციები, რის შედეგად 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო უწყებათაშორისი აუდიტების განხორციელება. 2019-2024 წლებში ჩატარდა 15 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი. 2025 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით გათვალისწინებულია 3 მსგავსი სახეობის აუდიტი.

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის შედეგებმა ნათლად წარმოაჩინა ამ სახეობის აუდიტის ჩატარების უპირატესობები. აღნიშნული აუდიტის ფარგლებში თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, განსხვავებით ტრადიციული შესაბამისობის აუდიტისგან, რომელიც კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ უწყებაზე. რამდენადაც შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ხშირ

¹ უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩო, რომლის მიხედვით, სამსახურის საქმიანობა ფასდება უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) მიმართებით.

შემთხვევაში სისტემურია და საერთოა საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობისთვის, მსგავსი ნაკლოვანებების აღმოფხვრა ხშირად სცილდება ცალკეული უწყების უფლებამოსილებას. სწორედ ამიტომ მსგავსი მიდგომა საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

შესაბამისად, უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები რაოდენობრივად ამცირებს ჩატარებულ აუდიტებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მოტანილ სარგებელსა და დაფარული ორგანიზაციების რიცხვს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. აქედან გამომდინარე, 2025 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური კვლავ ფოკუსირდება უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტებზე.

2025 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით, ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა 11-ით განისაზღვრა და მისი წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში 24%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. 2023-2024 წლებში სხვადასხვა წყაროდან მიღებული მომართვების 38% ასახულ იქნა 2023-2025 წლების აუდიტორული საქმიანობის გეგმებში.

2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტების მიხედვით. გეგმის მიზანია, სამსახურის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებული გახადოს საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან საკითხებზე და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის არსებული რესურსების სწორ განაწილებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენისას ეყრდნობა აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს.² გარდა ამისა, აუდიტის სამსახური ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და ინიციატივებს. დაგეგმვის პროცესში სამსახური ხელმძღვანელობს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის რისკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე უწყების/პროგრამის მნიშვნელობის ზეგავლენას და გამოვლენილი რისკების რეალიზების ალბათობას.

² ძირითადი კრიტერიუმებია:

- მხარჯავი უწყებების/პროგრამის ასიგნებების წილი მთლიან საბიუჯეტო ასიგნებებში;
- ზედამხედველობის რისკი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა;
- გარე წყაროების მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი მართვის პრობლემები.

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა

1. ფინანსური აუდიტები

ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური აუდიტების შედეგად მიღებული ინფორმაცია აისახება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კანონით ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენება, მთავრობის მიერ ანგარიშის მომზადებიდან 50 დღის ვადაში (არაუგვიანეს, 20 მაისისა).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგია მიზნად ისახავს ფინანსური აუდიტის ფარგლებში ბიუჯეტის 90%-იანი და მეტი დაფარვის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2024 წელს ჩატარებული აუდიტებით სამსახურმა დაფარა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 91%, 2025 წელს კი სამსახური გეგმავს აღნიშნული მაჩვენებლის 96%-მდე გაზრდას.

2025 წელს განსაზღვრულია 5 ფინანსური აუდიტის ჩატარება:

- 2 ფინანსური აუდიტი – ცენტრალური ბიუჯეტი;
- 1 ფინანსური აუდიტი – აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტი;
- 1 ფინანსური აუდიტი – აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტი;
- 1 ფინანსური აუდიტი – მუნიციპალური ბიუჯეტი.

ფინანსური აუდიტებით დაიფარება:

- სახელმწიფო ბიუჯეტის 100%;
- აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტის 100%;
- აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტის 100%;
- მუნიციპალური ბიუჯეტების 38%.

N	ბიუჯეტის დონე	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2024	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
2	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა	2024	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ფარგლებში 2024 წელს გაწეული საკასო ხარჯების დადასტურება.

3	აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2024	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
4	აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2024	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
5	მუნიციპალური ბიუჯეტი	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2024	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

2. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტების ჩატარება აუდიტის სამსახურის ახალი მიმართულებაა, რაც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას.

2025 წლის აუდიტის გეგმით განისაზღვრა 3 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი:

N	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შრომის ანაზღაურებისა და საწვავის ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებისა და საწვავის ხარჯების მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.
2	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებსა და მივლინებებზე გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ფულადი სახსრების ხარჯვის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან.
3	მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი ³	2023-2024	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ხარჯების კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობა.

³ აუდიტი ფარავს ახალგორის, აჭარის, ერედვის, თიღვისა და ქუროთის მუნიციპალიტეტებს.

3. შესაბამისობის თემატური აუდიტები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ასევე ორგანიზაციული მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან. შესაბამისობის აუდიტი საშუალებას იძლევა, ყურადღება გამახვილდეს უფრო მაღალი რისკის მატარებელ და აქტუალურ თემებზე.

2025 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განისაზღვრა 27 შესაბამისობის (თემატური) აუდიტის ჩატარება, აქედან:

- ცენტრალური ხელისუფლების დონეზე – 10 შესაბამისობის აუდიტი;
- აჭარის ა/რ-ში – 5 შესაბამისობის აუდიტი;
- აფხაზეთის ა/რ-ში – 2 შესაბამისობის აუდიტი;
- მუნიციპალიტეტებში – 10 შესაბამისობის აუდიტი.

N	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის შესაბამისობის აუდიტი	2022-2024	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის საქმიანობის მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.
2	შპს „სპორტმშენსერვისის“ სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს შპს „სპორტმშენსერვისის“ მიერ 2023-2024 წლებში განხორციელებული შესყიდვების მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.
3	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაუმთავრებელი მშენებლობის შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ უმოძრაო დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები.
4	შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები.
5	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები.
6	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 2023-2024 წლების აქტივების მართვისა და შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესის მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.

7	შპს „დელტა ინტერნეიშენალის“ შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს შპს „დელტა ინტერნეიშენალის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.
8	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.
9	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი 02 00) ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს პრიორიტეტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს აუდიტის საგნის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმების (კრიტერიუმების) მოთხოვნებთან.
11	შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი	2022-2024	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.
12	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2023-2024 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
13	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2023-2024 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
14	ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2023-2024 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული

[illegible]

[illegible]

24	სსიპ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურების სააგენტოს პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს პროგრამების შესრულების მდგომარეობისა და პროგრამების შესრულების პროცესში ფულადი სახსრების ხარჯვის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან.
25	შპს „სამედიცინო ცენტრ „დიომედი +“-ის შემოსავლების, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის, მიღება/ხარჯვისა და გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის პროცესში შემოსავლების, ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის, მათი მიღება-ხარჯვისა და გამოყენების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან.
26	საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სექტორში მოქმედი სუბიექტების შესაბამისობის აუდიტი	2022-2024	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სექტორში მოქმედი სუბიექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები.
27	საქართველოს კულტურის სამინისტროს შესაბამისობის აუდიტი	2023-2024	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს კულტურის სამინისტროს საქმიანობის მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.

4. ეფექტიანობის აუდიტები

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი მიზნად ისახავს შეაფასოს, რამდენად იქნა მიღებული გადახდილი ფასის შესაბამისი სარგებელი. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას, მათ მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენებას.

2025 წლის აუდიტის გეგმით გათვალისწინებულია 11 ეფექტიანობის აუდიტი, რაც მთლიანი აუდიტორული საქმიანობის (46 აუდიტი) 24%-ს შეადგენს.

N	აუდიტის დასახელება	სფერო	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	საარსებო შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი ბენეფიციარების სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულების შემცირება (შემდგომი რეაგირება)	სოციალური დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს რამდენად შემცირდა 2015 წლის შემდეგ საარსებო შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი ბენეფიციარების სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულება.
2	სახიფათო ნარჩენების მართვის ღონისძიებები	გარემოს დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სახიფათო ნარჩენების მართვის მიმართულებით არსებული მიზნების მისაღწევად განხორციელებული სამუშაოები, განსაზღვრული ამოცანების შესრულების მდგომარეობა, მიღწეული პროგრესი და არსებული სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები.

3	დასაქმების ხელშეწყობა	სოციალური დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა და გამოავლინოს პროცესებში არსებული ნაკლოვანებები.
4	IT შესყიდვების მართვის პროცესი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს რამდენად მიმდინარეობს საჯარო უწყებებში IT შესყიდვების (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) პროცესი.
5	სახელმწიფო საწარმოთა მართვა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის მიზნები, ამოცანები, მმართველობის სისტემა და საქმიანობის შედეგები; ამავედროულად, შეაფასოს აღნიშნულ სისტემაში არსებული ნაკლოვანებები და გამოწვევები.
6	ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში	განათლება	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობა.
7	სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მიზნით დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობა.
8	უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობა (შემდგომი რეაგირება)	განათლება	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დანერგილი მექანიზმები რამდენად უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების თავსებადობას არსებულ საჭიროებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
9	განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობა	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობა და არსებული ნაკლოვანებების/ხარვეზების საპასუხოდ გასცეს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები.
10	ტრანსპორტის სექტორში სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა	გარემოს დაცვა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია „პარიზის შეთანხმებით“ საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, სათბური აირების ემისიის შესამცირებლად ტრანსპორტის სექტორში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლა.
11	მყარი ნარჩენების მართვის ეფექტიანობა	გარემოს დაცვა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით არსებული მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებები და განსაზღვრული ამოცანების შესრულების მდგომარეობა.